საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის 015/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ს.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 13 თებერვალს საჩივრით მომართა ე. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიის აპარატი, საჩივრის ავტორის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაბარების მიზნით, არაერთხელ შეეცადა ე. ც.-სთან კომუნიკაციას მის მიერ წერილობით საჩივარში მითითებულ მობილურის ნომერზე - ****, თუმცა უშედეგოდ. ეთიკის კომისიას ე. ც.-საგან უკუკავშირი არ მიუღია. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მონაწილეობა არ მიუღია საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის წარმოადგენს ინდივიდუალურ მეწარმეს, რომლის საქმიანობის სფეროც მოიცავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას; იპოთეკით დატვირთვას; გაქირავებას და ა.შ.. ე. ც.-ის განცხადებით, პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელს

უშლის ადვოკატი ნ. ს.. კერძოდ, ადვოკატი სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, საჩივრის ავტორის ღირსებისა და პატივის შემლახავ სტატიებთან ერთად. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად ადვოკატი ნ. ს. აგრძელებს მისი უფლებების შელახვას.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა ნ. ს.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 24 თებერვალს, სადაც განმარტა, რომ ე. ც.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2023 წლის 27 თებერვალს ადვოკატი ნ. ს. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის იცავს ე. ც.-ის მიერ დაზარალებული პირების ინტერესებს. ადვოკატის განცხადებით, მას დაუკავშირდნენ საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში მცხოვრები პირები და სთხოვეს სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა. იმის გამო, რომ აღნიშნულ პირთა რიცხვში აღმოჩნდნენ ადვოკატის ახლობლები და ნაცნობები, ადვოკატმა ნ. ს.-მ უსასყიდლოდ გაუწია კონსულტაცია და ურჩია მათ საქმისწარმოება სისხლის სამართლის მიმართულებით დაეწყოთ. აღნიშნული პირებიდან, რვა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მათი ინტერესების დაცვა გაეგრძელებინა ადვოკატ ნ. ს.-ს. ადვოკატმა ნ. ს.-მ უსასყიდლოდ განაგრძო კლიენტების ინტერესების დაცვა, შეადგინა საჩივარი და 2023 წლის 9 თებერვალს წარადგინა სამართალდამცავ ორგანოში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ე. ც.-ის მიერ დაზარალებულ პირებს აპლიკაცია „viber"-ში ჰქონდათ შექმნილი სხვადასხვა ჯგუფები, სადაც დაამატეს ადვოკატი სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ, მობილურის ნომრიდან - *****-, მას დაუკავშირდა ე. ც.-ის შვილი - ნ. ც. და გაუგზავნა არაერთი შეურაცხმყოფელი ტექსტი. ამასთან ჯგუფში ადვოკატს მოიხსენიებდა უხამსი ეპითეტებით, ემუქრებოდა მას, ცდილობდა ადვოკატის შეშინებას და აზიარებდა შეურაცხმყოფელ ფოტოებს. მიუხედავად ამისა, ადვოკატი ნ. ც.-ს ესაუბრებოდა ეთიკური სტანდარტების დაცვით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან საკუთარ „facebook" გვერდზე გააზიარა „******"-ის სტატია და „****"-ის სიუჟეტი საბინაო თაღლითობასთან დაკავშირებით. ნ. ს.-ის პოზიციით, აღნიშნული პოსტების გაზიარებისას ის ზედმიწევნით იცავდა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს.

2.5 ადვოკატის გამარტებით, ე. ც. და ნ. ც. გაანაწყენა იმ ფაქტმა, რომ ადვოკატი ნ. ს. უსასყიდლოდ დაეხმარა საჩივრის ავტორის მოწინაარმდეგე მხარეს. ნ. ც. დარწმუნებული იყო, რომ მოწინაარმდეგე მხარე სამართლადამცავ ორგანოს არ მიმართავდა, თუმცა მისი მოლოდინი არ გამართლდა, რის გამოც ნ. ც. დაუკავშირდა ადვოკატის ერთ-ერთ კლიენტს მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოუწოდა საქმისწარმოებიდან ჩამოეშორებინა ადვოკატი ნ. ს..

2.6 ადვოკატის განმარტებით, ე. ც.-ის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ჩამოაშოროს ადვოკატი ნ. ს. მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რისთვისაც მიმართავს ხვადასხვა ხერხს: მუქარას, დაშინებას, ადვოკატს მოიხსენიებს უხამსი, დამამცირებელი, უწმაწური და საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალურ-ეთიკური წესების საწინააღმდეგო ფრაზებით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

3.2 ე. ც.-მ ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 13 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ნ. ს.-მ სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა მისი პატივისა და ღირსების შემლახველი სტატიები და ცრუ ინფორმაცია:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან.“

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ პროფესიული საქმიანობისას განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის უფლებები და ინტერესები, არამედ მისი ვალდებულებაა, რომ პატივი სცეს პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირს; მათთან მიმართებით იყოს ემპათიური და კომუნიკაციისას იცავდეს საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის მორალურ-ეთიკურ წესებს.

5.3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე №1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას

დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა და პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტებზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

5.5 ადვოკატის მიერ სადავო ქცევის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატი ნ. ს. მის შესახებ ავრცელებდა ცრუ ინფორმაციასა და პატივისა და ღირსების შემლახავ სტატიებს. გარდა წერილობითი განმარტებისა ე. ც.-ს არ წარმოუდგენია სხვა მტკიცებულება ადვოკატის მიერ სადავო ფაქტის ჩადენასთან დაკავშირებით.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი ისეთი მტკიცებულებები, რაც დააკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ სადავო ფაქტი ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ნ. ს.-ის მიერ ე. ც.-სათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - ე. ც.-ის სამტკიცებელია. თავის მხრივ, ადვოკატმა ნ. ს.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტები და ნ. ც.-სთან მიმოწერა. ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალა მოპოვებულია ისეთი წყაროდან, როგორიცაა საინფორმაციო საშუალებები: ტელეკომპანია „****“ და გაზეთი „კვირის პალიტრა“. აღნიშნული საინფორმაციო არხებიდან გაზიარებული სტატია და სიუჟეტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და არ შეიცავს საჩივრის ავტორის მიმართ გაჟღერებულ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას; მიმართულია კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად და სრულად ჯდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა

ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მიმოწერა, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატს მიმართავს უხამსი, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით; სოციალურ ქსელში ავრცელებს ადვოკატისთვის დამამცირებელ კარიკატურებს და ცდილობს ადვოკატის ღირსების შელახვას. მოწინაარმდეგე მხარე ადვოკატს მიმართვას სემდეგი ფრაზებით: „დავაი ნა*უი სი*ქალა შენ მოგი**ან ადვოკატობა შენი მკვდარი და ცოცხალი, მიდი მიჩივლე გაფურთხო მაგ მახინჯ სახეზე“; „დააყენე ერთი ადგილი“; „გაგარჭობენ თავისი მიკროფონებიანად სადაც გინდა“; „ამოწყდით ორი კუდიანი.... ასეთი ნაგვები როგორ გაჩნდით, ასეთი გველები“; „არავის გადაუღუნო“; „საცოდავო არსებავ“; „ნაბი.ვარი“; „ბო.ების ჯგუფში რომ დაგდებ მერე ამტკიცე რა პატიოსანი ხარ“; „შენს სტატიებს აგაკრავენ მალე შუბლზე ჩათლა.ო“; „ჩათლა.ი რა დონის ნაბო.არი, მიდი მიჩივლე“. მიმოწერით დასტურდება, რომ მოწინაარმდეგე მხარე ცდილობდა ადვოკატის გაღიზიანებასა და დამცირებას. ადვოკატი ნ. ს. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე ესაუბრება მოწინაარმდეგე მხარეს.

5.8 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ მოწინააღმდეგე მხარე თავად დაუკავშირდა ადვოკატს და ესაუბრებოდა ისეთი ფრაზებითა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, რაც მიუღებელია საზოგადოებაში; თავისი შინაარსით არის უხამსი და არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლოა მოწინაარმდეგე მხარეს არ მოსწონდეს დაპირისპირებული მხარის ადვოკატის სტრატეგია, ტაქტიკა და მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, თუმცა გაუმართლებელია ადვოკატთან უხამსი და არაეთიკური ფრაზებით საუბარი. საპროცესო კოლეგია ყურადრებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თავად საჩივრის ავტორმა არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და სათანადო მტკიცებულებებით არ გაამყარა საკუთარი პოზიცია და ეთიკის კომისიაში არ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატ ნ. ს.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენას. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, გარდა წერილობითი პოზიციისა, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბათუბელი ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა კოლეგიას ადვოკატის მიერ ე. ც.-ის მიმართ შეურაცხოფის მიყენების ფაქტში. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ადვოკატმა ნ. ს.-მ დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის სტანდარტები. საპროცესო კოლეგია ადვოკატის საყურადღებოდ განმარტავს, რომ მომავალში, ისეთ შემთხვევაში, როცა პროცესის მონაწილე პირი ცდილობს ადვოკატის დისკრედიტაციასა და გაღიზიანებას, სასურველია ადვოკატმა თავი აარიდოს ასეთი სახის კომუნიკაციას.

5.9 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, 40-ე მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №015/23 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ს.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/